დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

რუსეთი/საქართველო: სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის ყველა მხარემ დაარღვია ომის კანონები

ორივე ქვეყნის ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა და დევნილთა ნებაყოფლობით დაბრუნება

(ნიუ-იორკი, 2009 წლის 23 იანვარი) – „საქართველოს, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში ომის კანონების მრავალი დარღვევა ჩაიდინეს, რამაც გამოიწვია დიდი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში და სამოქალაქო ქონების ფართომასშტაბიანი ნგრევა," – ამბობს "Human Rights Watch"-ი დღეს გამოქვეყნებულ ყოვლისმომცველ ანგარიშში.

200 გვერდიან ანგარიშში – „ცეცხლის ალში: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს" – დეტალურად არის აღწერილი როგორც საქართველოს, ისე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ არადამიზნებადი იარაღისა და არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები, აგრეთვე, ოსური ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლების მიზანმიმართული და სისტემატური განადგურების კამპანია. ანგარიში ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთმა ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც მას რეალური კონტროლი გააჩნია. ანგარიშს საფუძვლად უდევს 460-ზე მეტი ინტერვიუ, რომლებიც საველე კვლევის პირობებში ჩატარდა.

„ომი სამხრეთ ოსეთში მხოლოდ ერთ კვირას გაგრძელდა, მაგრამ მისი საზარელი შედეგები მომავალი თაობებისთვისაც საგრძნობი იქნება", - განაცხადა რეიჩელ დენბერმა, "Human Rights Watch"-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორმა. „იმაზე ფოკუსირება, თუ ვინ დაიწყო ომი ან ვინ ჩაიდინა უარესი დანაშაულები, როგორც ამას ზოგი დამკვირვებელი აკეთებს, ჩვენი ყურადღება გადააქვს უმნიშვნელოვანესი საკითხიდან – ეს არის დანაშაულის ჩამდენთა პასუხისგებაში მიცემისა და დევნილთათვის საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნების შესაძლებლობის მიცემის სასწრაფო აუცილებლობა".

სამხრეთ ოსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონია. რუსეთთან მას საერთო საზღვრის გარდა მჭიდრო კავშირებიც აქვს. შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წლის

7 აგვისტოს დაიწყო, 15 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტამდე გაგრძელდა და დამთავრდა ქართული სამხედრო შენაერთების სამხრეთ ოსეთიდან უკან დახევით და რუსეთის მიერ ამ რეგიონისა და, დროებით, საქართველოს არასადავო ტერიტორიების ოკუპაციით. ერთკვირიანმა ღია საბრძოლო მოქმედებებმა და მომდევნო კვირების განმავლობაში რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფ დაუცველ რეგიონებში განხორციელებულმა ძალადობამ ასობით მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ათიათასობით ადამიანი გახადა იძულებული, საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა. ბევრ მათგანს დღემდე არა აქვს შინ დაბრუნების შესაძლებლობა.

"Human Rights Watch"-ის მიერ განხორციელებულმა კვლევამ ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში ქართულმა სამხედრო შენაერთებმა არადამიზნებადი იარაღი და არაპროპორციული ძალა გამოიყენეს სამხრეთ ოსეთზე საარტილერიო თავდასხმებისას, ზოგიერთ შემთხვევაში კი არაპროპორციულ ძალას სახმელეთო ოპერაციების დროსაც მიმართეს, რის შედეგადაც სამოქალაქო მსხვერპლი აღემატებოდა შესაძლო სამხედრო მონაპოვარს. კერძოდ, ქართულმა ჯარმა იერიშისას განურჩევლად გამოიყენა მრავალჯერადი რაკეტგამშვები სისტემები, რაც შეუძლებელს ხდის სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების ერთმანეთისგან განსხვავებას მშვიდობიანი მოქალაქეებით დასახლებულ ადგილებში. „გრადის“ სახელით ცნობილი რაკეტგამშვები დანადგარები რუსეთის მხარის მიერაც იქნა გამოყენებული.

„გრადის“ ტიპის რაკეტების (რომელიც არადამიზნებადი იარაღია) გამოყენება, როცა ეს სამოქალაქო პირებით დასახლებულ ადგილებშო ხდება, მიუთითებს, რომ სამხრეთ ოსეთზე შეტევების დროს ქართულმა შენაერთებმა გულგრილობა და უგულისყურობა გამოიჩინეს სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების მიმართ“, - ამბობს რეიჩელ დენბერი.

"Human Rights Watch"-მა დაადგინა, რომ რიგ შემთხვევებში სამხრეთ ოსეთში და საქართველოს არასადავო ტერიტორიაზეც რუსეთის სამხედრო ძალებმა განახორციელეს საჰაერო, საარტილერიო და ტანკებით არადამიზნებადი შეტევები, რის შედეგადაც ბევრი სამოქალაქო პირი დაიღუპა და დაიჭრა. "Human Rights Watch"-მა დოკუმენტურად დაადასტურა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რუსმა სამხედროებმა გორის რაიონის ოკუპაციის დროს ცეცხლი გაუხსნეს სამოქალაქო პირთა ავტომანქანებს, რის შედეგადაც დაიღუპა და დაიჭრა მშვიდობიანი მოსახლეობა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სამხედრო შენაერთები 10 აგვისტოს სამხრეთ ოსეთიდან გამოვიდნენ, ოსური შეიარაღებული ფორმირებები რამდენიმე კვირის განმავლობაში მიზანმიმართულად და სისტემატურად ანადგურებდნენ ეთნიკური ქართველების სოფლებს სამხრეთ ოსეთის იმ რაიონებში, სადაც საქართველოს მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა. შეიარაღებული ოსები მაროდიორობდნენ, სცემდნენ, აშინებდნენ ეთნიკურ ქართველებს და უკანონოდ აპატიმრებდნენ მათ. ოსებმა რამდენიმე ადამიანი გამიზნულად მოკლეს ეთნიკური და პოლიტიკური ნიშნით, რათა

იძულებული გაეხადათ ამ რაიონების დანარჩენი მოსახლეობა, სამუდამოდ დაეტოვებინა მშობლიური სოფლები და საკუთარი სახლები.

როგორც ოკუპანტმა ძალამ აღნიშნულ ტერიტორიებზე, რუსეთმა ვერ შეასრულა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით დაკისრებული ვალდებულება – შესაძლებლობისამებრ უზრუნველეყო საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

„ნაცვლად სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისა, რუსეთის ჯარმა საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებსა და ოს მოხალისეებს, გაუმართლებელი და ფართომასშტაბიანი მაროდიორობა ეწარმოებინათ, გადაეწვათ ქართველთა საცხოვრებელი სახლები და მოეკლათ, ეცემათ, გაეუპატიურებინათ და დაეშინებინათ ადამიანები“, – განაცხადა რეიჩელ დენბერმა. „ამგვარი შეგნებული თავდასხმები სამხედრო დანაშაულს წარმოადგენს და თუ ისინი ფართომასშტაბიან და სისტემურ ხასიათს ატარებს, ამ ქმედებებზე შეიძლება აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე“.

20,000-ზე მეტი ეთნიკური ქართველი, ვინც სამხრეთ ოსეთიდან კონფლიქტს გაექცა, დღემდე დევნილობაში იმყოფება. ახალგორის რაიონის (სამხრეთ ოსეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე რაიონი, რომელიც ამჟამად რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ არის ოკუპირებული) მაცხოვრებელ ქართველებს ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ემუქრებიან და აშინებენ. ამას გარდა, მოსახლეობა ღელავს საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვრის შესაძლო ჩაკეტვის გამოც. ამ ორივე ფაქტორის გამო დღეისათვის ახალგორის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იძულებულია, საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე გადავიდეს საცხოვრებლად.

„ათასობით ადამიანის მუდმივი იძულებითი გადაადგილება დაუშვებელია“, - ამბობს ქ-ნი დენბერი. „რუსეთმა საჯაროდ უნდა დაუჭიროს მხარი კონფლიქტის მიზეზით დევნილ პირთა უფლებას – ღირსეულად და უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს სამხრეთ ოსეთში, და უზრუნველყოს უსაფრთხოება იქ მცხოვრები ყველა ადამიანისათვის, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.“

ანგარიშში ასევე ასახულია ის ფაქტები, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიების რუსების მიერ ოკუპაციის დროს ოსმა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა გაძარცვეს, დაანგრიეს და დაწვეს მრავალი სახლი. მათ შეგნებულად მოკლეს სულ მცირე ცხრა სამოქალაქო პირი და გააუპატიურეს სულ მცირე ორი. რუსული შეიარაღებული ძალები ზოგ შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეობდნენ მაროდიორობასა და ნგრევაში, როგორც პასიური თვითმხილველები, ან როგორც აქტიური მონაწილეები, ანდა ისინი ოსი უკანონო შეიარაღებული ძალების ტრანსპორტირებას ახდენდნენ სოფლებში.

ანგარიშში დეტალურად არის ნაჩვენები, როგორ დააკავეს თვითნებურად სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებმა, ზოგჯერ რუსებთან ერთად, სულ მცირე 159 ეთნიკური ქართველი, დაკავებულთაგან მოკლეს სულ მცირე ერთი და თითქმის ყველა დანარჩენს არაადამიანურად და ღირსების შემლახველად ეპყრობოდნენ დაკავების ადგილებში, სადაც ადამიანისთვის შეუფერებელი პირობები იყო. მათ აგრეთვე აწამეს სულ მცირე ოთხი ქართველი სამხედრო ტყვე და სიკვდილით დასაჯეს სულ მცირე სამი. შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქართველმა სამხედროებმა აგვისტოში დაკავებული 32 ოსიდან სცემეს და ცუდად მოეპყრნენ სულ მცირე ხუთს.

„როგორც საქართველომ, ისე რუსეთმა უნდა ჩაატარონ მათი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიება“, – განაცხადა რეიჩელ დენბერმა. „რუსეთმა იგივე უნდა გააკეთოს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაშიც, ვინაიდან რეალურ კონტროლს სამხრეთ ოსეთზე რუსეთი ახორციელებს. რუსეთმა და საქართველომ უნდა უზრუნველყონ ყველა იმ პირის პასუხისგებაში მიცემა, ვინც ჩაიდინა დანაშაულები, და უზრუნველყონ, აგრეთვე, შესაბამისი კომპენსაცია კონფლიქტის უამრავი მსხვერპლისათვის.“

"Human Rights Watch"-ის ანგარიში – „ცეცხლის ალში: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს“ – შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:
http://hrw.org/en/reports/2009/01/23/flames-0